

ივერიის

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაბათი

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართული თეატრი

კვირას, 29 ნოემბერს,

ქართულ დრამატულ საზოგადოების არტისტებისაგან, ქალბ. მ. მისისი და ბატონ. შიფინის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

დრამა 5 მოქ. თავ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. მისისი, ჩერკეზიშვილისა, გარელი; ბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, იმედაშვილი, იმერიძე, ხოსროვილი და სხვ.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივად. დასაწყისი სწორედ 8 საათსკენ. რეჟისორი მ. აბაშიძე და ა. მისისი.

ხუთშაბათს, 3 დეკემბერს, დანიშნულია ქალბ. კარგარეთელის ბენეფისი.

ახალი ამბავი

* 26 ნოემბერს, მისის იმპერატორების უდიდებულესობის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის სახელწოდების დღეს, გარდაცვლილი იქნა წირვა და პარაკლისი სიონის ტაძარში, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში და მართლ-მადიდებელთა სხვა ეკლესიებში. ამ დღეს ქალაქი ბაიარდებით იყო მორთული, ხოლო საღამოზედ გაჩნდნენ დღისუბანი.

* კვირას, 22 ნოემბერს, მღვ. შოშიაშვილმა გამოუცხადა „ნაძალადევის“ მცხოვრებთა საქართველოს ექსარხოსის ფლავიანეს ნება-რთვა სამრევლო საეკლესიო სკოლისა და სამლოცველოსათვის შენობის აგების შესახებ. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად ცალკე კომიტეტი შეიქმნა, რომლის თავმჯდომარედაც არის მღვ. ი. გურგენიძე, ხოლო წევრებად: მ. გარსიაშვილი, გ. ჩარკვიანი და ა. ადამიძე.

* კავკასიის საიმპერატორო სამხედრო საზოგადოების სპეციალური შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ გადადებულ იქნას საქართველოს ტფილისის საბაღოსნო სკოლის პანსიონისათვის შენობის ასაგებად და ერთის სამუდამო აღმზრდელის მოსაწვევად.

* პირველ დეკემბერს კავკასიის საიმპერატორო სამხედრო საზოგადოებას კრება ექმნება. კრებამ სხვათა შორის უნდა განიხილოს საზოგადოების მოქმედების ანგარიში; განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება ტფილისის საბაღოსნო სკოლის საქმეთა მოწყობის შესახებ და სხვა. ამავე კრებაზედ არჩეულ იქნება ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგე.

* მომავალ 1899 წელს სამხედრო ბეგარის გარდასახდელად გაწვეული იქნებიან ის ყმაწვილი კაცები, რომელნიც 1877 წლის პირველ ოქტომბრიდან 1878 წლის პირველ ოქტომბრამდე არიან დაბადებულნი. ამ ხანში დაბადებული ყმაწვილი კაცები უნდა მიეწერნენ იმ ქალაქის ჯარის-კაცთა გამწერ ნაწილს, რომელშიაც მათი დედ-მამა მიწერილი. ტფილისის მოქალაქეებად ეხელავე უნდა წარუდგინონ გამგებებს მოწმობა იმის შესახებ, რომ ისინი ტფილისის მოქალაქენი არიან. ტფილისის სასწავლებლებში მოსწავლეთა უნდა წარუდგინონ გამგებებს 1899 წლის პირველ იანვრამდე მოწმობა იმ სასწავლებლისა, სადაც სწავლობენ. დანარჩენთაც (მოხელის, აფიცარის, მღვდლის და სხვათა შვილებმა) უნდა პირველ იანვრამდე მიმართონ

ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულოს და წარუდგინონ მათ მოწმობანი დაბადების და მონათვლის შესახებ.

* 26 ნოემბერს დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში კრება ჰქონდა დედათა სამკურნალო ინსტიტუტისა და დედათა უმაღლესი კურსების გაჭირვებულ მოსწავლეთა ქალთა დამხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთ. კრებამ რამდენიმე კაცი აარჩია და მიანდო იმათ იმის გამოკვევა, — პეტერბურგში არსებული ამგვარისავე საზოგადოების განყოფილება იქნას დაარსებული ტფილისში, თუ ახალი, სრულიად დამოუკიდებელი საზოგადოება.

* შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგებობის წინაშე იმის შესახებ, რომ იმ საგნების განხილვის დროს, რომელნიც შავის ქვის მწარმოების საქმეს შეეხებიან, მიწვეულ იქნას ხოლმე შავის ქვის მწარმოებელთა ერთ-ერთი წარმომადგენელიც.

* ინტენერი მიხაილოვი, რომელმაც იკისრა ქუთაისში ელექტრონის რკინის გზის გაყვანა, ტფილისში ჩამოვიდა მექანიკითა ამხანაგობის შესაღწევად ამ გზის გასაყვანად და საწარმოებლად.

* სოქიდან სწერენ „კავკასი“-ს, რომ ადგილობრივმა ვაჭრებმა შუამდგომლობა აღძრეს სოქაში ხაზინის დაარსების შესახებ.

* რუსეთის გაზეთების სიტყვით, კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგე პ. ა. გლავეცი თანამდებობას თავს ანებებს.

* იგივე გაზეთები იუწყებიან, რომ რუს. კაბიტალისტთა ამხანაგობამ ნება-რთვა აიღო სპარსეთის მთავრობისაგან სპარსეთში მდიდარის ქვა-მადნების წარმოებას შეუდგეს.

* გაზ. „ახ. მიმ.“ პეტერბურგიდან დეკემბრით ატყობინებენ: გზათა სამინისტროს აზრად აქვს მომავალ წლის წლიდან შეუდგეს ფოთის ნავთსადგურის გარე შენობათა შეკეთებას. ამ საქმეს, როგორც გამოანგარიშებულია, დასჭირდება 3,953,000 მანეთი.

* გაზ. „Рус. Л.“-ის სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტრომ შეიტანა იმ თამბაქოების თესლი, რომელიც მაკედონიისა, მცირე-აზიისა და ჰავანაში მოჰყავთ. სამინისტროს აზრად აქვს თესლი კავკასიისა და ყირიმის მეთამბაქოეთ დაურთოს ამ ჯიშის თამბაქოს გასავრცელებლად.

* გაზ. „ახ. მ.“-ს სიტყვით, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციის წარედგინა განსახილველად ქუთაისის

გუბერნიის სოფ. ქვემო-მალაკში განზრახულის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წესდების პროექტი.

* იმავე გაზეთის სიტყვით, ახალციხის მაზრის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ მან განკარგულება მოახდინოს, რათა ახალციხის მომრიგებელ-სასამართლოში დააქარონ ხოლმე იმ საქმეების განხილვა, რომელსაც პოლიცია აღძრავს სახლის-პატრონების წინააღმდეგ სასანიტარო წესების დარღვევის გამო. ამას გარდა მაზრის უფროსი შუამდგომლობს, რომ ქალაქ ახალციხეში არსებული ქარხნები და სამრეწველო დაწესებულებანი ქალაქს გარეთ იქნას გადატანილი.

* ზუგდიდი. 22 ნოემბერს მღვდელს მ. კ.—ის ნათლობა ჰქონდა, რომელზედაც მიწვეული ჰყავდა მეზობლები და ნათესავები. ერთი წვეულთაგანი ლ. წ.—მეტი-მეტად დამთვრალიყო ლხინში და ამის გამო სული დალია. წ.—ძეს ხორცი ვაჭკვებდა ყელში და ვიღერ სხევი მიეწველებოდა, კიდევ გარდაიცვალა.

* საჯარო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა ბ. ნ. ჯაბაძემ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგებობის წინაშე იმის შესახებ, რომ კამბეხისა და ღორის სარტის ნახრის დაქვას. როგორც ვუწყოთ, ამ უმად კამბეხისა და ღორის სარტის ნახრის არ ხსენებულა. ბ. ნ. ჯაბაძის აზრით კამბეხის სარტს უნდა დაქვას 5 კაზ., ხოლო ღორის სარტს—7 1/2 კაზ.

* ქალაქ გორიდან სწერენ გაზ. „ტფ. ფურ.“-ს: კვირას 22 ნოემბერს, აქ რკინის გზის სადგურის მასშობ. ლაზ, რკინის გზის ტელეგრაფის მოსვლამ იმსახურა კანდალაკის რეკლამით მუდგეში დასჭრა იმსახურა დაქვას დანაკარგი. დაჭრილი ტფილისის მიხედვით საჯარო-სამეურნეო გამაგზავნეს, მაგრამ 24 ნოემბერს გადამაგზავნა. გაზ. „საქართველო“ 31 წლისა იყო, დაწესდა და სამი შვილი. ამ დაჭრის მიზეზად დაჭრის მიზეზით ვერ გამოურჩევიან, ზოგი ამბობს, ქეიფის დროს მსუბუქად მოუვალათ და გაჭრაგულებამ კანდალაკის რეკლამით ესროლეს ვაჭრობას, ზოგი კი დავა—რეკლამით უნდა დაეჭრა და ტყუილად განსვენებულს მოსვალა.

* ქ. ფოთი. გურიის ქუჩაზედ სცხოვრობს ერთი მოხუცი რუსი, გვარად ფინკოვი. მოხუცს იქ საკუთარი სახლი აქვს და მდგმურად უყვანი ზღვაოსანთა სასწავლებლის მოწაფენი. წლოვანებით მოსწავლენი იცის და მეტის წლისანი არიან, ზოგი იც-და-ათსაც აღემატება. ამ მოსწავლენისაგან შეუწყებელია მთელი უმანი, იმათ უწყს-რიგა ყოფა-ქვეყნა ლამის იქ მცხოვრებთ საცხოვრებელზედ ხელი ააღებინოს: ამ უმანში აღარაფერი გააწაწანეს, აღარც შინაური ფრინველი და აღარც შეშა. დღეები ხომ მიღწეულ-მოღწეულია ამ ვაჭა.

კვილის კვირი

ა. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დან 2-მდე და ნაშუადღევს 5-დან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—10)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდინისა

(კუკიაში, ვორონოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდინი, 11—12 საათ.

სადოსტარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქაგანი, 9—10 საათ. სნეულელებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბაბანასიანი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. თ. შარტასკვიანი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ბ. ზ. კანაშკვიანი. 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გურგო. 1 1/4—2 1/4 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოაობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ნ. შავკავსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულე.

ბ. ა. ნავასარდინი—6 1/2—7 საათ.

ტ. ა. რუდენკო—სამკურნალოში

გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამეურნეო-სადაქტორი მედიცინისა ნავასარდინი.

Первая частная лечебница Д-ра Навасардиана.

Тифлисъ, противъ памяти. Воронцова (7)


მთავრობის განკარგულებანი

ებოდა სსმსსხრის წყლთა შესრულებისა გამო გადგეს რეგისტრაცია—ბაქტერიალური პოლიციის ბაქტერიის თანაშემწეს თავად ნიკარაძეს.

გამწესებულ იქნენ: ახსნური ქაინსონო ქვეთარაძე—ტფილისის სასახლისა პალატის განცხადების მოსწავლედ, სიმონ ცინისტაშვილი—კარაკლისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტარის ფოსტა-ტელეგრაფის.

დანიშნულ იქნა თელავის მომრავლებელ სასამართლოს მდიანა ილია კლდუთაძის ძე ზურაბიშვილი—ტფილისის ოლქის სასამართლოს თარჯიმანად.

დათხოვნილ იქნა სსმსსხრადგან თავისისავე თხოვნით კარაკლისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტარის ფოსტა-ტელეგრაფის ბარამიძე.



ტონებისაგან, ამას გარდა ამ ქუჩაზედ პატრონს მანდილოსანს არ შეუძლიან გელა...

გორი, 24 ნოემბერი. გუშინ ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა ადგილობრივის მახრის უფროსის ბ-ნ დის საჩივარი...

გორი, 24 ნოემბერი. გუშინ ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა ადგილობრივის მახრის უფროსის ბ-ნ დის საჩივარი...

გორი, 24 ნოემბერი. გუშინ ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა ადგილობრივის მახრის უფროსის ბ-ნ დის საჩივარი...

გორი, 24 ნოემბერი. გუშინ ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა ადგილობრივის მახრის უფროსის ბ-ნ დის საჩივარი...

გორი, 24 ნოემბერი. გუშინ ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა ადგილობრივის მახრის უფროსის ბ-ნ დის საჩივარი...

გორი, 24 ნოემბერი. გუშინ ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა ადგილობრივის მახრის უფროსის ბ-ნ დის საჩივარი...

ბურთაშვილი. დაწვებული მიხეილის საავადმყოფოში გაჩვენეს.

ამ დღეებში, გორის მახრის სოფ. გვერდით რუისის მცხოვრებელს ახალქალაქის მახრის საერაობა დარაჯის ურადნიკს გრიგოლ გვარამაძეს თავს დასმინან ვილა ბოროტკვანზრახველნი და წაურთმევით 120 მანეთი და ორი ბეჭელი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ავტოლიდან იუწყებიან, რომ ამ სადგურის მახლობლად ჰნახეს ვილა ცაცის გავი.

მიხეილის ქუჩაზედ მცხოვრების კნ. ლ. ვ. ერისთავის სადგომიდან ვილა ცქერდებს მოუპარავთ ქალის წამოსახსამი და პალტო.

„კავ“-ს ატყობინებენ ზუგდიდიდან, რომ 22 ნოემბერს, ღამე ზუგდიდიდან 10 ვერსის სიშორეზედ ვილა ც ბერდანის თოფით შეიარაღებულნი ბოროტკვანზრახველნი თავს დაესხნენ სენაის მცხოვრებელს რევეზ გოგიასათ. წაურთმევით გოგიასთვის 500 მანეთზედ მეტი. ყანაღები ჯერ ვერ შეუპყრიათ.

დაბატ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. ძვამო. ნიძოზი. თვისის მდებარეობა და გარეგნული სახეობა ეს სოფელი წარჩინებულია გორის მახრის სოფლებს შორის, მაგრამ ასევე მეტი კომლია აქაურ გლეხთა მხოლოდ სენათესა სკალის დახარება კერძო მფლობელებს. ამ გარდა ახსენებენ მდგომარეობას თვისის სამშობლო სოფლისას მიაქცია ურდადებდა ურდად უსამდელოებს ალაკრდის ეპისკოპოსმა კირიანმა, შესწირა სავაზო ფული სკოლის შენობის შესაკეთებლად, აკუჭის სასაიდლოდ და სხვ. და, გარდა ამისა, სამუდამოდ აღუთქვა დასმარება წელიწადში შექმარდა ახს ნაკლებ 5

თუშინა. მის მეუფეებს მიბაძეს ამ სოფლის შემამულები და სამდელოება მამად და თვისის წინააღმდეგ დასმარება აღუთქვა სკალას. ამ წლის წაფსულს მისის მეუფეების თხოვნით, ქვემო-ნიქოსის მცხოვრებლებმა ერთხმად დაადგინეს დაასრულეს თავიანთ სოფელში სამრეწველო-საკვლელო ერთგვარსა სკალა და გადასადონ ამ სკალასათვის წელიწადში ათი თუშინა, აგრევე მისცენ სკალას საჭირო შესა და დაუფინანსონ მისამსახურე.

18 ნოემბერს სკალის დასმარებულის ურდად უსამდელოების ეპისკოპოსის კირიანისა, მასობელ სოფლების შემამულები და თუშის სოფლის მცხოვრებთა თანდასწრებით აკურთხეს ახალი სკალა, რომელიც დროებით მოაჯსებულა საკვლელო შენობის ორს ოთახში. სკალის კურთხევის შემდეგ სამრეწველო სკალისას მამარო შედამხედველის მდედლის ბენიამინე კანტარძის მიერ, წამოთქმულ იქნა მრავალ ყამიერი სამეფო სასლისა, უწმინდისა სინადისა, მალა-ურდად უსამდელოების საჭიროებას უსამდელოების ეპისკოპოსის კირიანისა და ამიერიის სამრეწველო-საკვლელო სკალისა მფარველის, უწმ. სინადის ობერ ბრატკოვსკისა კ. შ. შობუდონოსკისა სადღეგრძელოდ. ასლად დასრულებულ სკალაში ესლდე მდებულ იქნა 40 მოსწავლე ორსავე სქესისა. ურდად უსამდელოებსა კირიანმა დალოცა ასლად მდებულნი მოსწავლენი და ჯერებითა და ტებელეულით დასახურება. შემდეგ მისმა მეუფეებმა წამოთქვა სიტყვა, და აუსხნა ხალხს, რომენად საჭიროა და სასარგებლო ურდად კეთილ მარწმუნე ქრისტიანსათვის შესწავლა სლმითო სკალისა. სკალაში მდებულ მოსწავლეთა მშობლებს სთხოვა—ნუ დააჩხრებთ

მოსწავლეთა გაგზავნას სკალაში და სწავლას ნუ მთავრებთ ხალხეო. ხალხეო ის მშობლები, რომელთა შვილნი ვერ-ჯერობით არ იქმნენ სასწავლებელში მდებულნი ურდადობისა გამე, ანუ ურდადობა, რომ ვერდები მოძავალ წელს უფრო ბეჭედი მოსწავლე იქმნეს მდებულნი სასწავლებელში და საზოგადოდ სკალას არ მოკავლებს წესს ურდადობას და მფარველობასა. ადგილობრივმა შემამულებმა თა. წ. ფაფლენიძემ და მოქალაქეებმა სკალას მფარველად მადლობა შესწირა ურდად უსამდელოების კირიანს სკალის დასმარებისა და თითონ იკისრა სკალის მმარუნებლობა... სკალის მსწავლებლად დაინიშნულ იქნა მცხეთის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში სწავლა და მთავრებული იქნა საძავაშვილი და სლმითო სკალის მსწავლელად ადგილობრივი მდედელი დ. კახანაძე.

თეატრის მაგიანე

კოტრი აზნაური, კომედ. 5 მოქმედ., თარგ. ვ. აბაშიძისა.

26 ნოემბერს ქართულმა დრამატულმა დასმა ბ-ნ კ. ს. მესხის საბენეფისოდ წარმოადგინა „კოტრი აზნაური“, უკვე ნათამაშევი ჩვენს სცენაზედ, ძველი, მაგრამ ფრად სასიამოვნო მოსახმენი და ნიჭიერად დაწერილი პიესა. მშვენიერია განსაკუთრებით ტიპი ამ პიესის გმირისა დონ-სეზარ დე ბაზანისა, რომელიც მთელის საზოგადოების თანაგრძობას იზიდავს თავისი დარღმინად ხასიათითა, უზრუნველის ცხოვრებითა და დაჩაგრულთა სიბრალულითა. პირველად თამაშობდნენ ამ სეზონში ქ-ნი ეფ. მესხისა და ბ-ნი გედევანოვი. დონ-სეზარის როლს ასრულებდა ბ-ნი კ. ს. მესხი.

მთელმა პიესამ, გეგმულად ტისტოთა შორის როლების განაწილების წყალობით, დიდად მწყობრად და ლაზათიანად ჩაიარა. ყველამ პირ, ნათლად შეასრულა თავისი როლი-კაპიტანის ენრიკოსის როლის აღმასრულებელის გარდა. ბ-ნ კავთელის ამ როლში სულ ორიოდ სიტყვა ჰქონდა სათქმელი და ისიც ისეთის ხელების ფართხალითა სთქვა, რომ ადამიანს ეგონებოდა, წყალში ირჩება და ხელებს იქნევს, შველასა სთხოვს ხალხსაო, ან კიდევ გაფრენას აპირებს სადმეო.

ბ-ნი კ. მესხი მშვენიერი იყო დონ-სეზარის როლში, შეუდარებლად შეასრულა იგი მეტადრე მეოთხე მოქმედებაში. აი, ასეთის ხასიათის როლებისათვის არის იგი შექმნილი და კარგი ჰქმნა, რომ თავის საბენეფისოდ ამ ხასიათის როლი იკისრა. საზოგადოდ რომ არ განშორდებოდეს ამ ამბლუას, იგი დიდად დაატკობს ყოველთვის საზოგადოების თავისი ნიჭით.

ალსანიშნავია ზომიერი თავდაქერა და ლაზათიანად წარმოადგენა როლისა ჩვენის სცენის ახალგაზრდა არტისტის-ქალის გარელის მიერ. ეს ყმაწვილი ქალი პატარა ბიჭის ლაზარულიის როლს ასრულებდა და იმისმა მოხდენილმა თამაშობამ, მეტარე პირველს მოქმედებაში, სწორედ დიდად ასიამოვნა საზოგადოება.

საერთოდ ყველანი ხელს უწყობდნენ ანსამბლს, ბ-ნის კავთელის გარდა.

სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ გარემოებას, რომ ქ-ნი ეფ. მესხი მონაწილეობას იღებს ქართულს წარმოდგენებში. ჩვენის არტიტ-ქალეობით ღარიბის სცენისათვის, მეტადრე ქ-ნ ბ. ავალიშვილის ავადმყოფობის

ფელეტონი

უხანოთა შორის

სახალხო კრედიტი საფრანგეთში.—ახალი ცვლილებანი საფრანგეთში.

ჩვენის საზოგადოების უმეტესი ნაწილი სწორედ არა სანატრელს მდგომარეობაშია, რადგან თითონ არ შეუძლიან ადვენოს თვალი დასავლეთ ევროპის ეკონომიურ ვითარებათა ცვლილებას და მდგომარეობის გამაუმჯობესებელ საშუალებების ძებნას უცხოეთში. ამიტომაც იძულებულია დაკმაყოფილდეს მით, რაც ჩვენ დროებით გამოცემთა ფურცლებზედ დაიბეჭდება. კრიტიკულად, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მდგომარეობის უტყუვრად წინასწარ განცნობით არ შეუძლიან დააკვირდეს ახლად გამოცხობილ ცნობას. ამიტომ ჩვენში იბადება სამწუხარო და არა-სასურველი ჩვეულება, განსაკუთრებით ახალგაზრდათა შორის. რომელიც სოციალური, ანუ საზოგადოებრივ საგნის გარჩევის დროს ისეთ საზოგადო ფრაზებს გვიშლიან თვალის წინ ურრანალ-გაზეთებში, რომ არც სულს ასაზრდოვეს და არც ხორცს. მაგალითად, ამას წინად ერთს ჩვენს გამოცემაში ახალგაზრდა ეკონომისტი ამბობდა, რომ სახალხო კრედიტი არსად არავითარი სიკეთე არ მოაქვს. ტყუილად იხარჯება მილიონებიო. „მთავრობა საფრანგეთში მხოლოდ 40 მილიონის ჰხარჯავს სახალხო კრედიტზედ, მაგრამ ამან რა უნდა უყოს 20 მილიონი სულს? თითოს ხომ ორ-ორის ფრანკის მეტი არ შეხედება“? ასეთის საერთო ფრანზით რას უნდა მიხედვს მკითხველი? თუ ავტორს ჰსურდა საფრანგეთის სახალხო კრედიტს შეხებოდა, ცოტაოდნად მაინც უნდა გაეცნო, აეხსნა მკითხველისთვის, რა მდგომარეობაშია ეს საგანი და რა საშუალებას ჰხმარობენ ფრანგები ამისთვის, თორემ ასეთი აზრი, რომ საფრანგეთში მთავრობა 40 მილიონის ჰხარჯავს და თითოს ორი ფრანკი შეხედებაო, რას აფიქრებინებს მკითხველს! თითქოს საოწკალოდ დასარჩებლად ჰქონდეს გამომეტებული მთავრობის ეს თანხა და თითქოს ეს იყოს ერთადერთი წყარო სახალხო კრედიტისა. ასე აურ-დაურევეს მკითხველს აზრს ამგვარი საზოგადო ფრაზა. ასეთს ჩვეულებას რომ თავიდან ავიცილებდეთ, კარგი იქნება და სასარგებლო. ასეთი ქცევა ამტკიცებს საგნის უცოდინარობას. საფრანგეთის მთავრობის 40 მილიონის ხელზედ დახვევით იქაურ სახალხო კრედიტისა და იმისის უმნიშვნელობის შესახებ ლაპარაკი შეცდომაა! რად ივიწყებენ, რომ ასეთ დიდად საქმეში, მთავრობის გარდა (რომელსაც თავის როლი განუსაზღვრეს), თვით ერი იღებს ღირს შენიშნავ მონაწილეობას. სხვას რომ თავი დავანებოთ, საქმეა დავასახელოთ ცნობილ მოღვაწე-ფრანგის


ლიონის ჰხარჯავს სახალხო კრედიტზედ, მაგრამ ამან რა უნდა უყოს 20 მილიონი სულს? თითოს ხომ ორ-ორის ფრანკის მეტი არ შეხედება“? ასეთის საერთო ფრანზით რას უნდა მიხედვს მკითხველი? თუ ავტორს ჰსურდა საფრანგეთის სახალხო კრედიტს შეხებოდა, ცოტაოდნად მაინც უნდა გაეცნო, აეხსნა მკითხველისთვის, რა მდგომარეობაშია ეს საგანი და რა საშუალებას ჰხმარობენ ფრანგები ამისთვის, თორემ ასეთი აზრი, რომ საფრანგეთში მთავრობა 40 მილიონის ჰხარჯავს და თითოს ორი ფრანკი შეხედებაო, რას აფიქრებინებს მკითხველს! თითქოს საოწკალოდ დასარჩებლად ჰქონდეს გამომეტებული მთავრობის ეს თანხა და თითქოს ეს იყოს ერთადერთი წყარო სახალხო კრედიტისა. ასე აურ-დაურევეს მკითხველს აზრს ამგვარი საზოგადო ფრაზა. ასეთს ჩვეულებას რომ თავიდან ავიცილებდეთ, კარგი იქნება და სასარგებლო. ასეთი ქცევა ამტკიცებს საგნის უცოდინარობას. საფრანგეთის მთავრობის 40 მილიონის ხელზედ დახვევით იქაურ სახალხო კრედიტისა და იმისის უმნიშვნელობის შესახებ ლაპარაკი შეცდომაა! რად ივიწყებენ, რომ ასეთ დიდად საქმეში, მთავრობის გარდა (რომელსაც თავის როლი განუსაზღვრეს), თვით ერი იღებს ღირს შენიშნავ მონაწილეობას. სხვას რომ თავი დავანებოთ, საქმეა დავასახელოთ ცნობილ მოღვაწე-ფრანგის

დიურანის „Le credit agricole en France“ (სამიწად-მოქმელო კრედიტი საფრანგეთში), რომელშიაც საუცხოვოდ არჩევს ავტორის სახალხო კრედიტს და იმის მნიშვნელობა— დანიშნულებას, გაეცნოთ ლინის „L'union des Caisses Rurales“ (სასოფლო კასების საზოგადოება), ტარბში (საფრანგეთში) შარშან ზაფხულს მომზადარ საერთა-შორისო კონგრესს, სადაც თითქმის ყოველ-კუთხიდან მივიდნენ დეპუტატები და თავიანთ ქვეყნის სახალხო კრედიტის მდგომარეობის შესახებ წაიკითხეს მოხსენებები. ამ კონგრესის შედეგი ვახლოდ ახალ საერთა-შორისო საზოგადოების*) დაარსება. ამ საერთა შორისო კავშირის დანიშნულება სახალხო კრედიტის ხელის შეწყობაა, მაგრამ არა ისეთ საშუალებით, როგორც წინად იყო მიღებული და როგორც საც მთავრობა ახვედა თავს. ყოველისავე ამის გარდა, უკანასკნელ მსოფლიო გამოფენის შემდეგ ვინცის რამდენჯერ მომზადრა სხვა-დასხვა ქალაქში „სახალხო ბანკების“ (Banque populaire) კონგრესები. საფრანგეთში „L'union des caisses...“ გარდა არსებობს კიდევ „სახალხო კრედიტის გამავრცელებელი საზოგადოება“.

მთავრობა დიდს მხარს აძლევს, ე. ი. „სახალხო კრედიტის გამავრცელებელ საზოგადოებას“. მკითხველი იფიქრებს, რომ მთავრობის საყვარელი საზოგადოება უფრო ალყავებულნი იქნებოა, მაგრამ ჩვენგან ამის წინააღმდეგ აზრს გაიგებთ: მაშინ, როდესაც „L'union des caisses...“-ის დაწესებულებანი დღითი დღე მრავლდებოდა, „სახალხო კრედიტ. გამავრც. საზოგადოების“ ბანკები, რომელსაც მთავრობა და banque populaire ეხმარება, თან-და-თან ცოტავდებოდა. პირველი საზოგადოება ახლოსაც არ იკარგებს მთავრობის დასახმარებლად გწვედნილ ხელს. აი, რასა სწერს ამ საზოგადოების პრეზიდენტი ლუი დიურანი ერთს თავის წერილში: „ჩვენის ბანკების დაარსება მთავრობას არ მოეწონა, აგრეთვე ჩვენგან უარის მიღება, რომელსაც შემწეობის მოწვევნა დავგიპირა. ჩვენს მოქმედებას საფრანგეთის მთავრობა ძლიერ ცუდის თვლით უცქერის. პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ, ჩემის აზრით, კოპერატიულ დაწესებულებებისთვის, განსაკუთრებით საკრედიტოსთვის—ყოველი შემწეობა საზარალოა. მთავრობას უარი შეუთვალეთ არა სიძულილის გამო, არამედ გვეშინოდა: დარწმუნებული ვიყავით, რომ შემწეობა ბანკების კეთილდღეობას დიდს ზიანს მისცემდა. გარდა ამისა, დახმარებით მთავრობა ხელში ჩაიგდებდა ბანკებს და ამით ისარგებლებდა პარლამენტის არჩევნების დროს...“

როგორც ვხედავთ, მთავრობას არ უნდა ექაზნიკებოდეს დიურანის საზოგადოება. ასეც არის. ამიტომაც სულითა და გულით ეხმარება მეორე საზოგადოებას, მაგრამ ვაი ისეთს დახმარებას, მაინც არა გამოდის რა. დიურანის გამარჯვების დასასურათხატებლად-კი შემდეგიც კმარა. 1895 წელს 10 მაისს ლუი დიურანი სწერდა (ანგარიშიდგანაც ჩანს): „ამ ეამად, ე. ი. ჩვენ საზოგადოების დაარსებიდან ორი წლის განმავლობაში 284 ბანკი (სახალხო) დავარსეთო. ესლა ჩვენ ხელთ გვაქვს იმათ საზოგადოების ჟურნალის, „Buletin mensuel“ ნომერის ნომერი, საიდანაც ჩანს, რომ დღეს საფრანგეთში ამ საზოგადოებას სულ 708 სახალხო ბანკი ჰქონია, ე. ი. სამის წლის განმავლობაში მოჰმატებია 424, ყოველწლივ 140 მეტი. მეორე საზოგადოების ბანკების რიცხვი-კი, როგორც ვთქვით, მცირდება.“

*) „Alliance internationale de Caisses Raiffaisien“.



შემდეგ, ყოველდღე უფლებდებოდა ცოტად თუ ბევრად რიგის პიესის წარმოღობა იყო, რომ ქ-ნი ეფ. მესხისა არ იღებდეს მონაწილეობას. ამიტომ სასურველია, რომ ეს მონაწილეობა მუდმივი იყოს და არა დროებითი.

მანოელიძე

რუსეთი

ამ ახლო მომავალში პეტერბურგში მოხდება რუსეთის მეთამბაქოეთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს სხვა და სხვა საგნები რუსეთის მეთამბაქოეთისა და იმის განკარგება-გაუმჯობესების შესახებ.

„წითელის ჯვრის“ საზოგადოების მთავარმა სამმართველომ დაზარალებულ გუბერნიების სასარგებლოდ 80,000 მანეთი კიდევ გადასდო, წინანდელთან ერთად ამ საზოგადოებამ დაზარალებულთა სასარგებლოდ სულ 159,000 მანეთი გაიღო.

წელს საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიისთან ეგზამენის დაქვრის თანხმობა მედიცინის დოქტორის ხარისხის მისაღებად 150 კაცმა განაცხადა. ეგზამენები დეკემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება.

„Рус. Лис.“-ის სიტყვით, მიწადმოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა განსაკუთრებული პროექტი იმის შესახებ, თუ რა წეს-რიგით უნდა დაეთმოთ კერძო კაცებს სახელმწიფო მიწები ვენახებისა და ბაღების გასაშენებლად.

სასულიერო უწყებამ განმარტა როგორ უნდა მოხდეს სხვა-და-სხვა მრევლში არჩევანები ეკლესიის მნათისა. მნათის ამოსარჩევად სოფლებში უნდა შეიკრიბნენ ხოლომე ეკ-

ტციკებს, რომ ჩვენი ეკონომისტი ნამეტნავ ცალმხრივად და გაუცნობლად შეხებია ასეთს არა-მარტივ კითხვას. ამ წერილის საგანი ის არის, ავუსხნათ მკითხველს ნამდვილი მნიშვნელობა მთავრობისა სახალხო კრედიტის საქმეში.

ამ ემად ახსენებთ თუ არა საფრანგეთს, იმ წამსვე ზოლას, დრეიფუსს, ესტრეგაზის, ლაბორის, პიკარს და მათ ამხანაგებს მოიგონებენ და იწყებენ ლაპარაკს ამ საუკუნის ბოლოს შექმნილ არა-ჩვეულებრივ საქმის შესახებ. შეიძლება გზლაც ამას მოელოდნენ მკითხველი, მაგრამ ჩვენ უფრო საინტერესო საგანს უნდა შევეხებოდეთ საფრანგეთის ცხოვრებისას. ბრისონის სამინისტრო დაეცა. არ გაუვლია დიდ ხანს და მეორე კაბინეტიც შესდგა. ის, რაც ბრისონის დარჩა გაუკეთებელი, მინისტრ-პრეზიდენტ დიუბუეიმ ჩაიგდო ხელში. ასეთი საქმე-კი ზევრი იყო. თითქმის ყველა პროექტი ძველ მინისტრთა კაბინეტის დამხადებელი იყო. დიუბუეიმ დებუტატთა პალატას წაუკითხა საფრანგეთის მთავრობის დეკლარაცია, აღნიშნა თავის მომავალი პროგრამა და დაუსახელა დებუტატთა კრებას, თუ რა აქვთ მათ გასარჩევ-საწინააღმდეგო და გასაკეთებელი. ამით საჯაროდ გამოცხადდა იმ პროექტების სია, რომელიც დებუტატებმა უნდა დაავიკრებინონ ან „ჰო“-თი და ან „ნა“-თი. შევეხებით მხოლოდ სოციალურ-ეკონომიურ სა-

კლესიაში ან იმის გალავანში. კრებულში არჩევანებამდის ერთი თვით აღრე უნდა გამოუცხადოს მრევლსა არჩევანის დღე. თვით არჩევანს უნდა დაესწროს ბლალოზინი, ან იმის თანამემწე და კრებულში.

„Рус. Л.“-ის სიტყვით, სასულიერო უწყებამ საჭიროდ სცნო სხვა-და-სხვა ეპარქიის საშუალო ადგილებში დაარსებულ იქმნას წიგთსაკვები სამრევლო საეკლესიო სკოლების მასწავლებელთათვის.

რათა სწავლა-განათლების საქმე ციმბირში უკეთ იქმნას დაყენებულ, სასულიერო უწყებამ შეიმუშავა ახალი პროექტი, რომლითაც ყველა პირველ-დაწყებითი სასწავლებელი სამღვდლოებს უნდა გარდაეცეს. პროექტის ძალითვე უნდა დაარსებული იქმნას საეკლესიო სასწავლებელი ყველა იმ სოფელში, რომლის მცხოვრებელთა რიცხვი 200 კომლს აღემატება; ამას გარდა ირკუტსკის, კრასნოიარის და ომსკის საზოგადო სემენარიები გადაკეთებულ უნდა იქმნას სამრევლო საეკლესიო სემენარიებად, ხოლო ბოლსკისა, იაკუტსკისა და ბლაგოვეშჩენსკის დაარსებულ იქმნას ახალი ამისთანა სემენარიები.

უცხოეთი

გერმანია და აშტრია. დიდი უსიამოვნებას ამ ყაზად ატეხილი ამ ორ მეგობარ სასულეწიფოთა შორის და, ადვილი შესამძებლად, იმან აქამდეც მიაღწია, რომ მათი კავშირი სრულად დაიწყეს. საქმე ის არის, რომ შრუსიას მთავრობამ ავსტრიის ქვეშევრდომი სლავიანები გარკვეა სრულად უმიჯნოდ შრუსიადგან. ამ გარკვევაში, რაღა თქმა უნდა, დიდად შეაშფოთა ავსტრიის მკვიდრნი. მთავარ-

გნებს. საფრანგეთში ზოგიერთი ახირებულნი გარდასახდნენ. მაგალითად, კარებსა და ფანჯრებზედაც გადაჭრილი გარდასახდნენ დაღებულნი, სხვა არა-შესაფერი პირადი გარდასახდნენ არის შემოღობული, რომელთაც უკანასკნელი დღე დაუდგა. ყოველი წესიერი მთავრობა მოწადინებულია გარდასახდლის განაწილება იხე მოხდეს, რომ მის გადახდა არავისთვის საძნელო და გასაკირი არ იყოს: ვისაც ცოტა აქვს — ცოტა გამოერთვას, ვისაც ბევრი, იმას მეტი გამოერთვას. ეს ითქმის განსაკუთრებით შემოსავლის კვალობაზედ აღებულ გადასახადის შესახებ. ასეთი გარდასახდის პროექტი ბრისონის სამინისტრომ შეადგინა. ამ პროექტის განხორციელება-დამტკიცებით შეიცვლება კარებსა, ფანჯრებსა და მოძრავ ქონებზედ შემოღობული გარდასახადი, რაც დიდი ხანია ცვლილებას ელის. შეიცვლება აგრეთვე შემოსავალზედ დაღებული გარდასახადი ისე, რომ ანგარიშით ზოგიერთი შეუძლებელი და ამ ემად პაწია გარდასახადის გარდახდელი სულ განთავისუფლებიან ხარჯისაგან. ერთი სიტყვით, ვისაც დიდი შემოსავალი აქვს, იმას ბევრი გამოერთვება; ვისაც ძლიერ ცოტა, იმათ სულ არაფერი. აგრეთვე შეიცვლილი უნდა იქმნას მეკვიდრეობის გარდასახადი, რომლის შესახებაც საფრანგეთის სენატმა თავისი აზრი დიდი ხანია გამოსთქვა ხმის

მინისტრს გრაფ ტუნს შეეკითხნენ შარლანტეში დებუტატები ავსტრიის და ენგელს — რამდენად მართლაც ეს ამბავი და ან რას ჭეშმარიტს მთავრობა ამის შესახებ. მინისტრ-პრეზიდენტმა უხსუსა მათ, რომ მართლაც ეს სმებია და თანაც დასძინა, — შეიძლება, ჩვენც შესაფერისა ღონისძიებანი მივიღოთ შრუსიას ქვეშევრდომთა წინააღმდეგო. გრაფ ტუნს სიტყვა არ მოეწონათ გერმანიის გაზეთებს. სხენებულ გაზეთებს კილე ასეთია, რომ თითქმის გერმანიის მთავრობას ყველაფრის უფლება ჰქონდეს ავსტრიის შესახებ, ხოლო უკანასკნელი-კი მოკლებული იყავს უფლებას თავისს ქვეშევრდომთ მფარველობა გაუწიოს.

უხსო ქვეყნული სლავიანები ასლავიანებენ ჩვენს ქვეყნის მკვიდრთ და ამიტომ გავრკევეთ შრუსიადგან ავსტრიის ქვეშევრდომნი, ამბობს გაზ. „National Zeitung“. ავსტრიამაც თუ ასეთივე ღონისძიება იხმანა გერმანიის ქვეშევრდომთა წინააღმდეგო, რომელნიც ავსტრიაში ზოულაბენ ლუგმს შურს, ეს გერმანიის მხრეზედ გამოიწვევს ახალს ღონისძიებასო.

ერთი გაზეთი კიდევ უფრო ემჭრება ავსტრიას და ამბობს, რომ გერმანიას სრულდებით შიში არა აქვს და ერთბაშე გულდამშობდებით შეურაცხება ყაძთა კითარების ცვალებადსო. ჩვენ უოკლს წუთში შეგვიძლიან მკვიდრად დაუკუშობრდოთ ინგლისს და გვკვი არა გვაქვს, რომ საქმის ასე დატრიალება მდვილად ესამოკუნება რუსეთსო. გრაფ ტუნის სიტყვა იმის მომასწავლებელი თუ არის, რომ ავსტრია სმთა კავშირს მოშორებას ახირებს, მდვილ კარგია, როგორც ენებუბადეს, ისე მოაქცესო. გერმანიას, ცხადია, უოკლეთვის შეუძლიან უსამთავრობოთაც დაიცვას თავისი პატივი და ინტერესებო.

უმეტესობით. ამ კანონ-პროექტისას დაწვრილებით ჯერ ვერას ვიტყვით, შეგვიძლიან ვთქვათ მხოლოდ ის, რომ მემკვიდრეობის გარდაცემისათვის, პროექტის ძალით, მომავალში უფრო მეტი გარდასახადი უნდა დაწესდეს. სხვათა შორის სასმელების ბაიცი უნდა შეიცვალოს, მაგრამ ამასთან შედარებით ღირს-შესანიშნავი აი რა არის. სოფლისა და ქალაქის მუშათა მდგომარეობა ყველა საზოგადო მოღვაწეს აინტერესებს ყველგან და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში, სადაც მუშათა კლასმა ხმა დიდი ხანია აღიმოდლა და დრო-გამოშვებით ერთის თუ მეორეს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სთხოვს მთავრობას. მუშათა ქონებრივი ვითარება, იმათი სვე-ბედი ისეთი საგანია, რომელსაც მთავრობა ადვილად ვერ აუხვევს გვერდს: მუშათა მდგომარეობის გამწვავება მთავრობისთვის საშიშელი მავნე ქარიშხალია. ამ დასამტკიცებელის საბუთებით მეცხრამეტე საუკუნე საესეა. საფრანგეთის მთავრობასაც ამ ემად შეაქვს ახალი კანონ-პროექტი მუშების შესახებ. ამ კანონ-პროექტის ძალით ცოტად თუ ბევრად გაუმჯობესდება მუშის ბედი. ეს კანონ-პროექტი სოფლისა და ქალაქის მუშათ უნიშნავს პენსიას. რაც უნდა ნაკლებლევანება ჰქონდეს ამ ახალს ცვლილებას, იგი მინც კარგია და სასარგებლო (რასაკვირველია, შედარებით). ასეთის კანონ-პროექტის და-

სამრია. სკუპშინამ შეაწინააღმდეგა კანონ-პროექტი, რომლითაც ასრცინდებენ და კრებებს თავისუფლება აკლდებათ. ეს კანონი, რომელიც ძლიერ მოაბოთ ელარსა სკუპშინას ნება-რთვას, მაშინვე იქმნა მეუფის მიერ დამტკიცებული, რათა სამინისტროს საშუალება მიეცეს მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიებთან ბრძოლას. უკანასკნელ კრებაზედ სკუპშინამ აგრეთვე შეაწინააღმდეგა კანონ-პროექტი ბუკლეითი სიტყვის თავისუფლების სასტიკად შეზღუდვის შესახებ.

საბმარცხი. საბერძნეთის მეფეს ამ ხანად აუარებელი მისალოცი დებუტატი მოსდის საბერძნეთის სხვა-და-სხვა ადგილიდან და აგრეთვე საბერძნეთის საზღვარ-გარეთელ სასლენთაგან. დებუტატი მადლობას უხსნადებენ მეფეს, რომელიც უოკლავს ძალ-ღონე იხმანა კრიტი და საზოგადოდ ელინთა საქმე უზრუნველ უოფელი გახსნა და კიდევაც მისწია თავისს საწადელს. უკლადებუტატი ნათქვამია, რომ მეფის გარეულობა და ერი სამუდამოდ მკვიდრად შეგავშინა უკანასკნელ დროს მომსდარმა დიდ-მნიშვნელოვანმა საქმეებმა.

კრიტი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ბატონი-მეფის გიორგის უთხოვნიან კრიტის საეროვნო გამოტყდის თავიშდომარის სოციალსაისათვის, — კრიტის მთავრობის საზღვარს თავიშდომარება ივსრეო და ისიც დათანხმებულია. გარდა ამისა, ამავე საზღვარს წერად მიწვეულ უნდა იქმნეს თურმე საბერძნეთის წარმომადგენლად ნამყოფი ღონდონში განადიოსო. ბოლგარის ვეტრანთა კანგრესს, რომელიც ერთს დროს ბოლგარის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ, დებუტათი მოულოდნელს სოციალსაისათვის კრიტის განთავისუფლება ოსმალეთის

მტკიცებასა და განხორციელებას საფრანგეთის დემოკრატია დიდი ხანი მოელოს. მართლაც, ამით ასრულდება დიდი სოციალური ვალი: თვალ-საჩინო კირს მალამოს მიწვდენა უნდა. ასეთ საზოგადოებრივ საგნის შემდეგ უნდა ვახსენოთ მიწათ-მოქმედების შესახებ კანონ-პროექტები. აქი ისეთ საგნის გამოა ლაპარაკი, რომელიც დებუტატთა პალატაში ბევრს მითქმა-მოთქმას გამოიწვევს, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, აზრთა შეტაკებას. ჯერ ერთი, სამიწათ-მოქმედო კრედიტის გაუმჯობესება, ახლის სახით დაწესება. ამ კითხვას, როგორც წინადაც ვამბობდით, საფრანგეთში სულ სხვა აზრის მომხრენი ჰყავს. ერთს მხარეს საზოგადოებისას სასარგებლოდ მიაჩნია ასეთ საქმეში მთავრობის ჩარევა, მეორეს-კი, რომელსაც ეკუთვნის სახელმწიფოს შესანიშნავი და ცნობილი მოღვაწენი, უმჯობესად მიაჩნია ასეთ საქმეში — მთავრობა სულ არავითარს მონაწილეობას არ მიიღებდეს და მიაწინებდეს თვით ერს. აგრეთვე ამ აზრს ბლომად ჰყავს დებუტატთა პალატაში მომხრე და მოწინააღმდეგე. ამაზე უფრო საინტერესოა პროექტი სოფლის წვრილ საკუთრების განვითარების შესახებ. ესეც არ გარდაწყდება ადვილად. დღეს რომ მსოფლიო ეკონომიური ლიტერატურა გადათვლიეროთ, ამ საგნის შესახებ არა-მცირე სჯა-ბაასს შეხვდებით. დღითი დღე ემატება

მონობისაგან. სოციალსაისათვის დებუტატი გაუგზავნა, რომელიც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ კრიტიკებს სურთ მკვიდრო მძურა კავშირი დაიჭირონ აღმოსავლეთის ყველა ერთხანა.

ნოემბრის შუა რიცხვებამდე კრიტიკად გასულა 7000 მამადიანი. უკანასკნელ რიცხვებში კიდევ 3000 კაცმა განაცხადა წასვლის სურვილი, და ამ რიცხვს კენჭი დაემატა მამადიანთა თითქმის ერთი მეხუთედი იქნება წასული.

ერთი გაზეთის სიტყვით ბატონი-მეფის გიორგი უნდა დაინიშნოს უკლესის პრინცის ქალიშვილ კატარინაზედ, რომელიც 1868 წელს უოფილად დახადებული.

ამერიკა. შეერთებულს შტატებში ბერკი წინააღმდეგე არის ფილიპინების ამერკისთან შეერთებისა. ნიუ-იორკის, პოსტონის და ფილადელფიაში მთელი დღეა შემდგარა, რომელსაც დებუტატია გაუგზავნა მავკინდისათვის და ქალიშვილი მიუერთებია, რომ სხენებულ კენძებების შემოერთებას სეირს არ დაუფრის შტატებს და ამიტომ ნუ შემოუერთებთო. მავკინდის უხსუსხნა დედე-გატებისათვის, რომ ჩვენ გადებულნი ვართ ფილიპინების წინაშე ეს გუხმული შემოკერითო. ამერიკის მთავრობას არ შეუძლიან ღეთას ახანარად დასტოვოს ანხიმულაგის მკვიდრნი, რომელთა შორის ანულობა და ახარება ჩამოკარდება, რა წამსაც ჩვენს ჯარებს წამოეფიანთ იქიდანო.

დამაკვირდი

სიცოცხლე მხოლოდ მაშინ არის კარგი, როდესაც სოციალსაის სსოკითაა გამთბარა.

გმც

სიბოროტის თვისისა ნაცვალი მკუგებებს კაცსა.

მეფე დავით VIII

მომხრენი იმ აზრის მიმდევართ, რომ მიწის კერძო საკუთრება წინ სვლას აფერხებსო. საკმაოა დავასახელოთ ისეთნი კაცნი, როგორნიც არიან ამერიკის ცნობილი შესანიშნავი მოღვაწე-ეკონომისტი ჰენრი ჯორჯი, ჯ. მილი, ჰერბერტ სპენსერი, ჰუფენ-დორფი, ლორენც შტინ, ალბერტ შექლე და ათანნი სხვანი, რომელნიც იმეორებენ არისტოტელის მიერ ქრისტეს დაბადებამდის ნათქვამს: „არის საგნები, რომელნიც საერთო საარგებლობაში უნდა იყოს, როგორც მიწა და სხვა საჭირო ნივთებიო.“ ამერიკისა, ინგლისისა, გერმანიისა და სხვანთ თუ ასეთი მიმდინარეობაა, საფრანგეთიც არ ჩამორჩენია მათ, საფრანგეთშიაც ამავე მოძრაობას ვხვდებით და ამიტომაც ვამბობთ, რომ ასეთი საგანი, როგორც სოფლის კერძო საკუთრების განვითარების საქმეა, ადვილად არ გადაწყდება. საზოგადოდ საფრანგეთის ახალს მთავრობას საერთო ცხოვრებაში ჰსურს შეიტანოს ისეთი ეკონომიური ცვლილებანი, რომელნიც შეადგენს ქვეყნის უმთავრესს საგანს, ინტერესებს. ვნახოთ, რითი გათავდება ყოველივე და რას მოგვცემს მომავალი, რასაც ნათლად გვიჩვენებს მოახლოვებული მსოფლიო გამოფენა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საფრანგეთი, რომლის დროშასაც ქვეყნის სასიკეთლოდ დიდხანია დაეწერა: „მშობა, ერთობა და თავისუფლება“, საერთო არსებობას მეტს სიცოცხლეს შესძენს და ბნელს ვაორკეცებულს სხვის მიანათებს.

მალაქია ბოლქვაძე

სენა მონაწილენი წინასწარ განასაზღვრეს და ქვეანა წინათვე ისაღუზიან საქმეთა თესთაშებ.

იონა მონაზონი

შურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

ამ უამარ ძლიერ გახშირდა ყველგან—ევროპასა და ამერიკაში ეგრედ წოდებული ავტომობილები. ავტომობილი ისეთი ეტლია, რომელიც თავის თავად დადის, მაგრამ დიდი შეცდომა იქმნება ესთქვათ, რომ ავტომობილი მხოლოდ ეხლა მოიგონეს. ეურნალ-გაზეთებში ბევრი ცნობებია იმის შესახებ, რომ ავტომობილები ჯერ ისევე უწინ ყოფილა. მაგალითად, რომის იმპერატორის პეტრინასის დროს გამოგონილი იყო ისეთი ეტლები, რომლებიც თავის თავად დადიოდნენ და, მასადავთ, ავტომობილი ახალი გამოგონება არ არის. ზოგნი კიდევ ამტკიცებენ, რომ ავტომობილები უფრო წინად იყოფო, ზოგიერთი ისტორიკოსები ამტკიცებენ, ქალაქ ტროისადამდე პველი ხის ცხენი ისე იყო გამართული, რომ თითონ მოძრაობდა, თავის თავად, მანქანის შემწეობით შევიდა ილიონშია. ძველია სთქვას კაცმა რამდენად მართალია ეს ამბავი, ხოლო ეს კი დამტკიცებელია, რომ უწინ კართაგენელებისა და რომაელების ბრძოლის დროს ისეთი მანქანებსა ჰმართებდნენ, რომლებიც თითონ მოძრაობდნენ, მივიღოდნენ მტრის ციხესთან და კედლებს ანგრევდნენ.

ისტორიკოსი პლინიუსი სწერს, რომ მაშინ რომის დროს ბრძოლის ველზედ გამოჰყავდათ ხოლმე ხისა და ლითონისაგან გაკეთებული უზარმაზარი სპილო, რომელიც თავის თავად მოძრაობდა და მტერს შიშის ზარსა სცემდა. საფრანგეთში, მეფე ჰენრიმ მეოთხის დროს ერთმა კუზინამა კაცმა, რომელსაც მეტი სახელი კოლინგი დაარქვეს, გამოიგონა ისეთი მანქანა, რომელსაც თავის თავად უნდა ევლო. მანქანის გამოცდას დაესწრო ძვირთ მეფე და მთელი ამაღა. მაგრამ მანქანა კარგი არ გამოდგა, სულ ორასიოდ აღლის მანძილი გაიარა და გაჩერდა. საბარლო კუზინას გამოგონებებს ბევრს დასცინოდნენ და ზოგმა გიჟიც დაარქვა. 1840 წელს საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე კაცმა ტიერმა პარლამენტში განაცხადა, რომ ორთქლის შემწეობით მოძრაობა ტყვილი ოცნებაა და რკინის გზა ყოველად გამოუსადეგარი მანქანა არისო. ხოლო იმ დროსვე მიშელ შველიე ჩამტკიცებდა, ისეთი დრო დაგვიდგება, რომ რკინის გზის წყალობით კაცს შეეძლება დილით პარიზიდან მარსელში წავიდეს, იქ საუზმე მიირთოს, ბორდოში ისადილოს და თეატრში წარმოადგენის დაწყებამდე ისევ პარიზში დაბრუნდეს. მიშელ შველიეს წინასწარმეტყველება საეხებით ასრულდა.

ამერიკასა და ესპანისა შორის რომის დროს დიდძალი ფული შესწირა მთავრობას ამერიკის ახალგაზდობამ. ამ ფულით მთავრობამ უნდა გააკეთოს უზარმაზარი სამხედრო გემი, რომელიც სწორედ რომ შიშის ზარის დამცემი იქმნება მტრისათვის. გემს სახელად ეწოდება „ამერიკელი ბიტი“. გემზედ მრავალი ახალი სისტემის ზარბაზნები იქმნება, ორი დიდი პაროსტრუტი, ორი წყლის ქვეშ სასიარულო ნავი და 300 მანქანა, რომელთა დანიშნულება ჯერ საიდუმლოა. ამ გემზე 170 ოფიცერი იქმნება და 2500 ჯარისკაცი. გემის გაკმთებისათვის საჭიროა 40 მილიონ მანათამდე.

ახირებული საჯარო ვაჭრობა თუ გნებავთ, ეს არის. ლონდონში ერთმა სახელოვანმა და მეტად ლამაზმა ქალმა გამოაცხადა, ჩემს კოცნას საჯაროდ გავეყიდი და ფულს ღარიბთა სასარგებლოდ გადავეცემა. დაიწყო ვაჭრობა. ქალის კოცნა იყიდა 8000 მანათად ერთმა მოხუცმა პოლიციანმა ფორტესკიემ, ფული გადასცა ლამაზ ქალს და თავზიანად უთხრა: „უკაცრავად გახლავართ, ქალბატონო, მე თქვენი კოცნა ჩემის 7 წლის ვაჟიშვილისთვის ვიყიდე და გთხოვთ, ჩემ მაგიერად იმას აკოცოთო“.

არტიკლა ქალმა სიამოვნებით შეასრულა მოხუცებულ პოლიციანის თხოვნა.

იმპერატორის ნიკოლოზ პავლეს დროს რუსეთში გუბერნატორად იყო ბ. ნ. ს. ამ გუბერნატორის მოხსენებაში ერთხელ იმპერატორმა შემდეგი სიტყვები ამოკითხა: „მე სიმათლე მიყვარს და ამიტომ მოგახსენებთ, რომ საგუბერნიო მმართველობის პროტოკოლებს არა ვკითხულობ“. იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ ამ სიტყვებს გვერდზე მოუწერა: „მეც სიმათლე მიყვარს და ამიტომ ასეთი გუბერნატორი სამსაუზრდგან დამითხოვნია.“

ალტენბერგის სასაფლაოზე ერთს საფლავის ქვას შემდეგი წარწერა აქვს: „აქ განისვენებს გვამი ქრისტეან-ფრიდრიხ ტიმესი, რომელიც 25 წელიწადს მესაფლავედ იყო; გვამი მისის შვილისა იონან ტიმესი, რომელიც 54 წელიწადს იყო მესაფლავედ და რომელიც 20,381 მიკვალეზულის გვამი დასაფლავა და შვილის-შვილი მისი გენრიოტი-მე, რომელიც 50 წელს იყო მესაფლავედ. დასაფლავა 23.311 მიკვალეზულის გვამი“.

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „Руководство для изучения армянского языка“ შედგენილი კ. იაგუბიანის მიერ, ხოლო გამოცემული ცენტრალურ წიგნის მაღაზიის მიერ. წიგნი შეიცავს 162 გვერდს და ღირს 80 კაპ., გაგზავნი 1 მანეთი.

დეკემბ

25 ნოემბერი

ბერლინი. სეფე სიტყვაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ გერმანიის მეტი ბრული განწყობილება ყველა სხვა სახელმწიფოსთან უცვლელია. „უმთავრესი აზრი ჩემის პოლიტიკისა, რამდენადაც მე შემიძლება საქმე, ის არის, რომ ხელი შევუწყო მთელის ქვეყნის მშვიდობიანობის მომეტებულად დამყარებას. აი რისთვისაც გულწრფელის თანაგრძობით მივიგებ ჩემის ძვირფასის მეგობრის რუსეთის იმპერატორის სულგრძელს წინადადებას საერთა-შორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელმაც სამშვიდობო საქმეს დაარსებულ წესწყობილებას უნდა გაუწიოს სამსახური. კონფერენციამ აღძრული წინადადებანი, რომელნიც ამ დიდს მიზანს შემდეგშიც სამსახურს გაუწევს, ჩემს მთავრობაში თანაგრძობას ჰპოვებს, რომლისაგან გულს-მოდგინეთ იქნება აწონილ-დაწონილი“. იმპერატორი შემდეგ ამბობს: „კონსტანტინეპოლს, პალესტინას და სირიაში ყოფნის დროს მე პირადად დავეწმუნდი ჩემსა სასიამოვნოდ, რომ ბუნებითის ნიჭისა და ზნე-ჩვეულების წყალობით გერმანიის ქვეშევრდომებმა ოსმალეთში პატივი და სახელი მოიპოვეს. მე და დედოფალმა ვნახეთ ის ადგილები, რომელნიც, ჩვენის მაცხოვრის წვალებისა გამო, ასე ძვირფასია მთელის საქრისტიანოთა ვის. იმედი მაქვს, ოსმალეთში ჩემი ყოფნა, დადებულია გამასპიძლება ხონტორის და ოსმალეთის ქვეყიდრთა მიერ ყველგან აღტაცებული დახვედრა სარგებლობას მოუტენს გერმანიის სახელსა და გერმანიის ინტერესებსო“.

ბერლინი. რეისტაგში წარდგენილ

კანონპროექტით მშვიდობიანობის დროს ჯარის რაოდენობის შესახებ, 1899 წლის 1 ოქტომბრადგან ჯარის რიცხვმა თანდათან ისე უნდა იმატოს, რომ 1902 წლის განმავლობაში იყეს 502,506 ჯარისკაცი. ეს რიცხვი დარჩება 1904 წლის 31 მარტამდე.

26 ნოემბერი

პეტიტორი. შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებული კომისია აცხადებს: „კიშლაგანზობში და ისკანდერის ოლქში, სადაც უწინ შავი ჭირი იყო, ეხლა ეს სენი სრულებით მოიხპო. 24 ნოემბერს დასრულდა დეზინფექცია ყველა შენობებისა ანზობში და მხლობელ ოთხს სოფელში. მცხოვრებთა ტანთსაცმელი და თეთრეული დასწვეს და ყველას ახალი დაურთვეს. ის სასაფლაო, სადაც განსვენებულთა გვამებს ასაფლავებდნენ, გაუქმებულია. სხვა ყოველგვარი ღონისძიებანი იხმარეს შავის ჭირის მოსაპოვად“.

პეტიტორი. საფრანგეთის ელჩმა შეატყობინა ცუნგ-ლი-იამენს, რომ თუ სითშვანის მეამბოხეთ არ გაანთავისუფლეს ტყვედ წაყვანილი საფრანგეთის მისიონერები 10 დღის განმავლობაში, ჩვენ ჯარს ბრძანებას გავცემთ, რომ საზღვარზე გადავიდნენო.

ლონდონი. კიჩინერი ქაირში წავიდა და იქიდან ომდურმანში წავა. ნიცცა. საერთაშორისო კონფერენციის კრებამ, რომელიც აქ მოხდა და რომელსაც საგანა აქვს გაწეს-რიგება მატარებლების მიმოსვლისა, ისე რომ ერთის მატარებლის მოსვლის დრო შეეფერებოდეს მეორე მატარებლის წასვლისას, რუსეთის დელეგატის იზმილოვის წინადადებით დაადგინა, შემდეგი კრება კონფერენციისა მოხდეს პეტერბურგში 15 ივნისს 1899 წელს.

27 ნოემბერი

პეტიტორი. 26 ნოემბერს, მეკვიდრე ცესარევიჩის დიდად სადღესასწაულო სახელ-წოდების დღეს სატახტო ქალაქი მორთული იყო ბაირალებით; ყველა ეკლესიებში გარდახდილ იქმნა პარაკლისი.

იალბა. უმაღლესის მოწოდებით იალბაში შეიკრიბნენ ლივადიასა, იალბასა და მახლობელ ადგილას მცხოვრებნი, ვისაც წმ. გიორგის ორდენი აქვთ. წირვის შემდეგ, რომელიც გარდახდილ იქმნა სასახლის ეკლესიაში, კავალერნი მიწვეულ იქმნენ სადღესასწაულო საუზმეზე; ჯარის კაცთათვის, რომელთაც სამხედრო ორდენის ნიშნები ჰქონიათ, ცალკე გაიმართა საუზმე მოედანზე, სასახლის ეკლესიის მახლობლად. ხელმწიფე იმპერატორმა ინება გამოაძიანება ჯარის კაცებთან და ბევრს ჰკითხა, რამდენის წლისა ხართ, სად გიმსახურნიათ, სად ისახლეთ თავიო. შემდეგ მისმა უდიდებულესობამ წარმოსთქვა სადღეგრძელო კავალერებისა, მადლობა განუცხადა წარსულ სახელოვან სამსახურისათვის და შეაძინა სასადილო ოთახში. იმპერატორის მოწყალე სიტყვების პასუხად გაისმა ახტაცებული „ურას“ ძხილი.

მოსკოვი. სატახტო ქალაქის ყველა ეკლესიებში გარდახდილ იქმნა პარაკლისი მეკვიდრე ცესარევიჩის სადღეგრძელოდ.

პარიზი. საკასაციო პალატამ განიხილა პიკარის თხოვნა იმის შესახებ, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს მისი საქმე. საქმის მოხსენებელმა ატალენმა თხოვნა მიღების ღირსად სცნა და ის აზრი წარმოსთქვა, რომ პალატას უნდა ემცნოს სახედრო სასამართლოს საბუთები პიკარის საქმის შესახებო. პროკურატორმა მანომაც ეგვე აზრი გამოსთქვა.

ბერლინი. მეკვიდრე ცესარევიჩის სახელწოდების დღესასწაულისა გამო, რუსეთის საელჩოს ეკლესიაში სადღესასწაულო პარაკლისი იქმნა გარდახდილი.

პარიზი. ისპანია-ამერიკის სამშვიდობო ხელშეკრულების შემუშავება დამთავრდა.

პარიზი. საკასაციო პალატამ დაადგინა განჩინება, პიკარის გასამართლება სამოქალაქო და სახედრო წესით გადადებულ იქმნასო.

პეტიტორი. იმპერატორი ბრძანება გაუზღვანა ჩინეთის ელჩს ტოკიოში—უშეველად შეიპყრე კან-იუო.

ფარილი რედაქციის მიმართ

უფულისადგეს მადლობას ვუძღვნი თავროსიკო რევაზის ძეს ამირჯიბს, რომელმაც 25 მანეთი შემოსწირა მოხისის საეკლესიო სკოლას, ამდენივე ალუთქვა ყოველ წლიურად და საზოგადოდ ყურადღებით ეპყრობა ამ სკოლას. აგრედვე სიღონია კონსტანტინე წინამძღვრიშვილის ასულს და მიხილ დიმიტრის ძე კვლიაშვილს, რომელთაც შემოსწირეს სკოლასვე პირველმა 2 მ. და მეორემ 8 მანეთი.

მოხისის საეკლესიო სკოლის გამგე მღვდელი ბენიამინე კონტრიტე

открыта подписка на 1899 год на газету „КАСПИЙ“ (XIX ГОДЪ ИЗДАНИЯ).

Въ 1899 году „Каспий“, въ Баку, ежедневно, будетъ выходить по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической, съ обширнымъ нефтянымъ отдѣломъ, при той же самой подписной цѣнѣ. ПОДПИСНАЯ ЦѢНА: Съ доставкой: на 12 мѣс. 7 р., на 11 мѣс.—6 р. 50 к., на 10 мѣс.—6 р., на 9 мѣс.—5 р. 50 к., на 8 мѣс.—5 р., на 7 мѣс.—4 р. 50 к., на 6 мѣс.—4 р., на 5 мѣс.—3 р. 50 к., на 4 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—2 р. 50 к., на 2 мѣс.—2 р. и на 1 мѣс. 1 р. Съ пересылкой: на 12 мѣс.—8 р. 50 к., на 11 мѣс.—7 р. 50 к., на 10 мѣс.—7 р., на 9 мѣс.—6 р. 50 к., на 8 мѣс.—6 р., на 7 мѣс.—5 р. 50 к., на 6 мѣс.—5 р., на 5 мѣс.—4 р. 50 к., на 4 мѣс.—4 р., на 3 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—2 р. и на 1 мѣс.—1 руб. 50 к. ЗА ГРАНИЦУ: На годъ — 13 руб. „ полгода — 7 руб. Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 руб. городскими и 4 руб. 50 коп. иногородными подписчиками; затѣмъ 15-го февраля 2 руб. и 15-го марта 2 руб. ИНОГОРОДНЫЕ АДРЕСУЮТЪ СВОИ ТРЕБОВАНИЯ, ВЪ БАКУ, ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ „КАСПІЙ“. Подписка принимается: въ Баку—въ конторѣ газеты, Николаевская улица домъ Г. З. А. Тагіева; въ Тифлисѣ—въ книжн. магазинѣ Хиддекеля и у И. К. Словинскаго; въ Кутаисѣ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чидладе, противъ собора на тифлисской ул., собственный домъ; въ Батумѣ—при книжно-газетномъ агентствѣ М. Николадзе, въ Елисаветпольѣ—у Г. А. Альтгаузена, при его торговлѣ аптекарскими товарами; въ Москвѣ—въ конторѣ Матѣвъ; въ Н.-Новгородѣ—въ Рождественскомъ газетномъ кіоскѣ и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинцій.